**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი**
**საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი**

# წ ე ს დ ე ბ ა

**თბილისი**

2020 წელი

შეთანხმებულია იურიდიულ
დეპარტამენტთან
24 01 2020 წ.
ფურცელი

## მუხლი 1. ორგანიზაციის წესდების რეგულირების სფერო

1. ეს წესდება განსაზღვრავს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის (შემდგომში - ორგანიზაცია) სტატუსს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას, მართვის ორგანოებსა და უფლება-მოვალეობებს, აგრეთვე ორგანიზაციის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

## მუხლი 2. ორგანიზაციის სტატუსი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სრული სახელწოდებაა – საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი.
2. ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
3. ორგანიზაცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, ამ წესდებითა და დამფუძნებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით.
4. ორგანიზაცია საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის სასამართლოში/არბიტრაჟში მოსარჩელედ და მოპასუხედ და მესამე პირებთან ურთიერთობაში.
5. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N144.
6. ორგანიზაციას აქვს ოფიციალური ბეჭედი ორგანიზაციის სახელწოდებით, საბანკო დაწესებულებებში ანგარიშ(ებ)ი, ოფიციალური ვებ-გვერდი და ელექტრონული ფოსტა: georgianmedicalholding@gmail.com.
7. ორგანიზაცია დაფუძნებულად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და არსებობს განუსაზღვრელი ვადით, ამ წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მისი ლიკვიდაციის მომენტამდე.

## მუხლი 3. ორგანიზაციის საქმიანობა

1. ორგანიზაცია არის სამედიცინო დაწესებულება, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სამედიცინო (მ.შ. ამბულატორიული, სტაციონარული) სერვისების განხორციელება/ორგანიზება.
2. ორგანიზაცია თავის საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, - აუცილებელი ლიცენზიების, ნებართვების, შეტყობინებების და სხვა საფუძველზე.
3. ორგანიზაცია:

ა) თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. დარგობრივ პროფესიულ ორგანიზაციებთან;
ბ) ეწევა დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც არ ცვლის მისი, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირის ხასიათს;
გ) ეწევა სხვა საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული კანონით.
4. ორგანიზაცია, როგორც სამედიცინო დაწესებულება უფლებამოსილია, განახორციელოს საქმიანობა შემდეგი მიმართულებებით:
ა) სამედიცინო საქმიანობა - მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლების ფარგლებში, მოსახლეობისთვის გადაუდებელი და გეგმიური მომსახურების გაწევა/უზრუნველყოფა;
ბ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;
გ) სამედიცინო განათლება (დიპლომამდელი, დიპლომისშემდგომი და უწყვეტი პროფესიული განვითარება);
დ) ფარმაცევტული საქმიანობა.

**მუხლი 4. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა**

1. ორგანიზაციას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დამფუძნებელი.
2. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს მის მიერ დანიშნული უფლებამოსილი პირი.
3. დამფუძნებელი უფლებამოსილია ორგანიზაციის ხელმძღვანელის არყოფნის (უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის) შემთხვევაში ხელმძღვანელის მოვალეობის შესრულება დააკისროს სხვა პირს.

**მუხლი 5. ორგანიზაციის დამფუძნებელი**

1. ორგანიზაციის დამფუძნებელია სახელმწიფო, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ. ორგანიზაციის დაფუძნების შემდეგ, ორგანიზაციის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დამფუძნებლის ყველა უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.
2. ორგანიზაცია ექვემდებარება დამფუძნებლის მხრიდან კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.
3. დამფუძნებელი უფლებამოსილია, მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარდგენა.
4. დამფუძნებელი:
ა) ამტკიცებს ორგანიზაციის სამოქმედო გეგმებსა და ბიუჯეტს;
ბ) ასრულებს ორგანიზაციის მაკონტროლებლის ფუნქციას;

გ) ნიშნავს და ათავისუფლებს ორგანიზაციის დირექტორს;
დ) ზედამხედველობას უწევს დირექტორის მუშაობას, ადგენს დირექტორის სამუშაო აღწერილობას;
ე) იღებს გადაწყვეტილებას წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების მიღებაზე ან წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ;
ზ) იღებს გადაწყვეტილებას ორგანიზაციის რეორგანიზაციის ან/და ლიკვიდაციის შესახებ;
თ) გადაწყვეტილებებს იღებს სხვა საკითხებზე, რომლებიც, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შედის დამფუძნებელთა განსაკუთრებულ კომპეტენციაში.
5. მხოლოდ დამფუძნებელთან წინასწარი წერილობითი თანხმობით არის შესაძლებელი:
ა) ორგანიზაციის მიერ უძრავი ქონების შეძენა, უძრავი ქონების ან მისი ნაწილის გასხვისება ან/და უფლებრივად დატვირთვა ან დროებით სარგებლობაში გადაცემა
ბ) თავდებობა;
გ) სესხის აღება;
დ) ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის განსაზღვრა;
ე) თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისთვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა;
ვ) სხვა გადაწყვეტილებები, ორგანიზაციის ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც სცილდება ორგანიზაციის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

**მუხლი 6. დირექტორი**

დირექტორი:
ა) წარმოადგენს ორგანიზაციას;
ბ) პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისა და დავალებების შესრულებისათვის იმ სფეროში, რომელიც ორგანიზაციის საქმიანობას ეხება;
გ) ხელმძღვანელობს და წარმართავს ორგანიზაციის საქმიანობას წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და ახორციელებს ორგანიზაციის საერთო, ყოველდღიურ ხელმძღვანელობას; უზრუნველყოფს ორგანიზაციის თანამშრომელთა და სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის კონტროლსა და მეთოდურ ხელმძღვანელობას;
დ) შეიმუშავებს ორგანიზაციის ყოველწლიური ბიუჯეტის პროექტს, დასამტკიცებლად წარუდგენს დამფუძნებელს;
ე) ახორციელებს ორგანიზაციის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების მართვას და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე;
ვ) ხსნის და ხურავს ორგანიზაციის საბანკო ანგარიშებს;
ზ) კანონმდებლობის შესაბამისად, გამოსცემს ბრძანებებს, ხელს აწერს ოფიციალურ, მათ შორის, საფინანსო დოკუმენტებს;
თ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ორგანიზაციის თანამშრომლებს;
ი) ანაწილებს მოვალეობებს ორგანიზაციის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს, აკონტროლებს ორგანიზაციის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას; ორგანიზაციის თანამშრომლების მიმართ იყენებს წახალისებისა და პასუხისმგებლობის ზომებს;

კ) ამტკიცებს ორგანიზაციის შინაგანაწესს;
ლ) ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით უფლებამოსილია შექმნას საკონსულტაციო/სათათბირო ორგანოები (კომისიები და საბჭოები) და სამუშაო ჯგუფები, განსაზღვროს მისი უფლებამოსილებები, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
მ) უფლებამოსილია ორგანიზაციის საქმიანობის ორგანიზების სრულყოფის მიზნით დაამტკიცოს შესაბამისი ინსტრუქციები/წესები;
ნ) ასრულებს ამ წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

## 7. ორგანიზაციის სტრუქტურა

ორგანიზაციის სტრუქტურას განსაზღვრავს დირექტორი.

## 8. ორგანიზაციის ქონება და სახსრები

1. ორგანიზაციის ქონება შედგება კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული, გადაცემული ან ორგანიზაციის მიერ საკუთარი სახსრებით შეძენილი ქონებისაგან (მათ შორის, ორგანიზაციას შეუძლია იქონიოს შენობა-ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები, ფულადი სახსრები, სხვა უძრავი და მოძრავი ქონება, რომელიც საჭიროა ამ წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისათვის).
2.ორგანიზაციის დაფინანსების წყარო შესაძლოა იყოს:
ა) გრანტების და ნებაყოფლობითი დონაციების/შემოწირულობის სახით მიღებული შემოსავლები;
ბ) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
გ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები.
3. ორგანიზაციას უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, აწარმოოს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა და საწესდებო ამოცანების შესრულების მიზნით შექმნას/ჰქონდეს იურიდიული პირის მქონე საწარმოები, ხოლო ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები მიმართოს საწესდებო ამოცანების შესასრულებლად.

## 9. ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება

1.ორგანიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოებს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგებას, ადგენს ბალანსს და დასამტკიცებლად წარუდგენს დამფუძნებელს.

## 10. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. ორგანიზაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
2. ორგანიზაციის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას ახორციელებს მისი დამფუძნებელი.

## 11. ორგანიზაციის წესდების მიღების, შეცვლისა და გაუქმების უფლებამოსილება

1.ორგანიზაციის წესდების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება დამფუძნებლის გადაწყვეტილებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 12. დამატებითი პირობები

1. წესდების ყველა რეგისტრირებული ცვლილება და დამატება ავტომატურად ხდება მისი განუყოფელი ნაწილი.
2. ორგანიზაციის სარეგისტრაციოდ წარდგენილ დოკუმენტაციაში და სამეწარმეო რეესტრში შეტანილი სავალდებულო ფაქტების ცვლილება ასევე საჭიროებს რეგისტრაციას. ცვლილება ძალაშია მისი რეგისტრაციის დღიდან.
3. ამ წესდებასა და საქართველოს კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.
4. წინამდებარე წესდების მიმართ გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობა.
5. თუ წინამდებარე წესდების ერთი ან მეტი დებულება იქნება ბათილი ან იურიდიული ძალის არმქონე, ეს არ იმოქმედებს დარჩენილი დებულებების ნამდვილობაზე.
6. წესდება შედგენილია ქართულ ენაზე.
7 წინამდებარე წესდება ძალაში შედის რეგისტრაციის დღიდან.

**პარტნიორის სახელით**

სსიპ - სახელწმიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
მომსახურების მხარდაჭერის დეპარტამენტის
სახელმწიფო საწარმოთა მართვის სამსახურის
წამყვანი სპეციალისტი მაია ავალიანი (პN 01010016060)

ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚ
ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲗᲐᲜ
24 01 2020 წ.
06ᲡᲯ., ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ